ანგარიში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ EASMUS+ Credit Mobility საერთაშორისო მობილობის პროექტში, რომლის კოორდინატორია აფიონი ქოჩატეპეს უნივერსიტეტი (თურქეთი).

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მესამე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა დარეჯან ცუცქირიძემ და საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ პროფ. თამარ ხოხობაშვილმა, რომლებიც მიწვეულ იქნენ აფიონი ქოჩატეპეს უნივესიტეტში საერთაშორისო კვირეულზე და განახორციელეს მობილობა 2022-2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში, კერძოდ, 2023 წლის 23-27 მაისს.

დარეჯან ცუცქირიძე და თამარ ხოხობაშვილი საერთაშორისო კვირეულის პირველივე დღეს შეხვდნენ საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების სრულ შემადგენლობას. მათ კოორდინაციას უწევდა ეზგი გიურელი. შეხვედრა გაიმართა თბილ და საინტერესო გარემოში. საუბარი ძირითადად მობილობის პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების, მობილობის მიზნების, გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ წარიმართა. საერთაშორისო კვირეული, რომელშიც 15 ქვეყნის 40-მა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა, წარიმართა წინასწარ განსაზღვრული გეგმით.

		psychological help, culture and art and internships at the faculty)	Adam Mickiewicz University in Poznan, Poland
	11.20-11.40	Fostering Inclusion, Diversity, and Equality: Practices in higher education in the South African context	Mafor Penn, University of Johannesburg, South Africa
	11.40-12.00	Fostering inclusion, diversity and equality: Challenges and good practices (SIEM Project)	Duarte Alves, Polytechnic Institute of Viana do Castelo, Portugal
	12.00-12.15	Good Practices of the GTU	Darejan Tsutskiridze, Tamar Khokhobashvili, Georgian Technical University, Georgia
Day 3 (24th of May 2023)	First Session (10.00-10.45)	**Presentation of the Home Universities and Challenges and Good Practices of Incoming Offices**	
	10.00-10.15	Erasmus+ Internship Program and Internship Consortia in Afyon Kocatepe University	Nilda Hocaoglu, Afyon Kocatepe University, Turkiye
	10.15-10.30	Presentation of the University of West Attica	Maria Apostolidou, Eirini Mermigki, University of West Attica, Greece
	10.30-10.45	Presentation of the Polytechnic Institute of Viana do Castelo	Duarte Alves, Polytechnic Institute of Viana do Castelo, Portugal
	10.45-11.00 Second Session (11.00-12.00)	**Tea/ Coffee Break**	
	11.00-11.10	Good Practices of Incoming Office at the University of Mauritius	Abisha Bahorun, University of Mauritius
	11.10-11.20	Presentation of the University of Tuzla	Admir Seleskovic, University of Tuzla, Bosnia and Herzegovina
	11.20-11.30	Good Practices of the UNECON	Ekaterina Skurikhina, St Petersburg State University of Economics (UNECON), Russia
	11.30-11.40	Presentation of the Vitebsk State Academy of Veterinary Medicine	Dmitry Morozov, Vitebsk State Academy of Veterinary Medicine, Belarus

საერთაშორისო კვირეულის მონაწილეების სია

პრეზენტაცია - დ.ცუცქირიძე; თ. ხოხობაშვილი

წარდგენილმა პრეზენტაციამ „Good Practices of the GTU" განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა, რადგან პრეზენტაციაში მარტივად და გასაგებად წარმოჩნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წამყვანი ინიციატივები და წარმატებები, საერთაშორისო

თანამშრომლობის დადებითი შდეგები, ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროცესი სწავლა/სწავლებაში, სტუდენტთა მხარდამჭერი პროგრამები. აუდიტორიამ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიდგომას განათლების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა აქტიური დისკუსია, სადაც მონაწილეებმა გამოხატეს ინტერესი აღნიშნული გამოცდილების გადატანის შესაძლებლობებზე თავიანთი უნივერსიტეტებისთვის. დარეჯან ცუცქირიძე და თამარ ხოხობაშვილი ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული სხვა ქვეყნის მონაწილეების პრეზენტაციებთან დაკავშირებულ დისკუსიებში. მოსმენილი და აქტიურად იქნა განხილული 15 ქვეყნის უნივერსიტეტის საუკეთესო გამოცდილება სწავლა/სწავლების პროცესთან დაკავშირებით და ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე როგორიცაა:“ინკლუზია, მრავალფეროვნება და თანასწორობა“,

პრეზენტაცია

პრეზენტაცია

აღსანიშნავია, რომ მასპინძელებმა სტუმრებს დეტალურად დაათვალიერებინეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები. სტუმრების განსაკუთრებული ყურადღება ბიბლიოთეკამ, ასევე ხელოვნების ფაკულტეტმა მიიპყრო, სადაც მსოფლიო მუსიკალურ საკრავთა მუზეუმიც იყო განთავსებული. მსოფლიო საკრავებს შორის ღირსეულ ადგილს იკავებდა ქართული ფანდურიც, მასპინძლების თანხმობით სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს სტუ-ს წარმომადგენლება გააცნეს ფანდურის მნიშვნელობა

ბიბლიოთეკის დარბაზი.

ქართული ფანდური

მნიშვნელოვანია, რომ საგანგებოდ თამარ ხოხობაშვილისა და დარეჯან ცუცქირიძისათვის დაიგეგმა შეხვედრა არქეოლოგიის დეპარტამნტის წევრებთან. დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქმიანი შეხვედრის შემდეგ უზრუნველყვეს ვიზიტი

აფიონქარაჰისარის არქეოლოგიურ მუზეუმში; სადაც შეხვედრა შედგა მუზეუმის დირექტორთან. მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი იდეები ურთიერთობების გამყარებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. მუზეუმში ვიზიტი, მართლაც საოცრად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მისი ინოვაციური დიზაინი და ტექნოლოგიური შესაძლებლობები ქმნიან უნიკალურ გარემოს აქეოლოგიური ექსპონატებისა და ვიზიტორებისთვის.



აფიონქარაჰისარის არქეოლოგიის მუზეუმის ექსპონატები

საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში განხორციელდა კულტურული ღონისძიებები პამუკალესა და ეფესოში, რომელსაც დარეჯან ცუცქირიძისა და თამარ ხოხობაშვილისათვის განაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა, რადგან ისინი არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის კათედრის წარმომადგენლები არიან. ნებისმიერი ისტორიკოსისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ანტიკური ქალაქის დათვალიერებას, რომელიც ანტიკური ხანის კულტურას, პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ ცხოვრებას ასახავს. მისი ნახვა თავისთავად ახალი ცოდნის წყაროა.

ეფესო ეფესო - ნიკე

კულტურების უკეთ გაცნობისა და სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმისათვის მასპინძლების მიერ შემოთავაზებული იყო სრულებით ორიგინალური ფორმატი. ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა ეროვნული ძღვენით უმასპინძლა დანარჩენებს და გააცნო თავისი ქვეყნის კულტურის კიდე ერთი კომპონენტი.

მზადება ქართული ტკბილეულის პრეზენტაციისათვის

საერთაშორისო კვირეულის დასასრულს გაიმართა გამოსამშვიდობებელი საღამო და სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალი.

სერტიფიკატების გადაცემა

სერტიფიკატების გადაცემა

საერთო ფოტო